საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემით სარგებლობის წესები და პირობები

ტერმინთა განმარტებები

სისტემის ოპერატორი/ბანკი/ანგარიშსწორების აგენტი - სს „თიბისი ბანკი“;

სისტემის წესები - წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესები და პირობები;

ანგარიში - ბანკში არსებული სისტემის მონაწილის საკორესპონდენტო ანგარიში;

გადახდის ოპერაცია - გადახდის სისტემის საშუალებით საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის საშუალებით მგზავრობის საფასურის გადახდის ტრანზაქცია, შესაბამისი ანგარიშსწორების ჩათვლით. ამასთან, ტექნოლოგიური ინსტრუმენტით/საშუალებით გადახდის ოპერაციის დანერგვა მოხდება ბანკთან წინასწარ შეთანხმებული სქემით;

გადახდის სისტემა / სისტემა - საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის, კონტროლის და მართვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმოცვლა და გადახდის ოპერაციის შესრულება;

კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს, გარდა სისტემის ოპერატორისა და სისტემის მონაწილისა;

მინიმალური ნაშთი – ბანკში არსებულ სისტემის მონაწილის ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომლის გამოყენებაც დაშვებულია აღნიშნული დოკუმენტითა და სისტემის მონაწილესა და სისტემის ოპერატორს შორის გაფორმებული შეთანხმების/ხელშეკრულებების ფარგლებში/შესაბამისად;

პლასტიკური ბარათი - სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული, საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული, უკონტაქტო სადებეტო ან საკრედიტო VISA და MASTERCARD ბარათები;

ქვეკონტრაქტორ(ებ)ი - მესამე პირ(ებ)ი, რომლებთანაც არსებული შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს გადახდის სისტემის ფუნქციონირებას;

სამუშაო დღე - დღე შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა;

საერთაშორისო საგადახდო სისტემა - VISA და MASTERCARD საგადახდო სისტემები;

საზოგადოებრივი ტრანსპორტი - კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა გადაყვანის საშუალებები -ავტობუსები/მიკროავტობუსები, სადაც ფუნქციონირებს გადახდის სისტემა;

სტოპ სია - სისტემის ოპერატორის მიერ შედგენილი/ფორმირებული იმ პლასტიკური ბარათების სია, რომელთა მეშვეობითაც დაუშვებელია გადახდის ოპერაციის შესრულება;

შეთანხმება/ხელშეკრულება - ნებისმიერი ხელშეკრულება/შეთანხმება და/ან დანართი მათში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება/დამატება, რომელიც დაიდება/გაფორმდება სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში;

სისტემის მონაწილე - წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში გადახდის სისტემაში ჩართული პირი;

სამგზავრო ბარათი - კონკრეტული რეგიონისათვის დამზადებული ბარათი, რომელიც საშუალებითაც შესაძლებელია მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდა.

გადახდის საშუალებები - საბანკო პლასტიკური ბარათი და/ან შესაბამისი ელექტრონული საფულე;

ელექტრონული საფულე - APPLE PAY-ით და GOOGLE PAY, რომელზეც მომხმარებელს შეუძლია მიაბას საბანკო ბარათი;

ანგარიშსწორების აგენტი – იურიდიული პირი, რომელიც გადახდის სისტემის მონაწილეებს უზრუნველყოფს ანგარიშსწორების ანგარიშებით, რომელთა მეშვეობითაც ხდება მონაწილეთა შორის ანგარიშსწორება;

სისტემაში ჩართვის განაცხადი - გადახდის სისტემაში ჩართვის მიზნით დაინტერესებული პირის მიერ შევსებული განაცხადის ფორმა;

დაინტერესებული პირი - პირი, რომელიც დაინტერესებულია გახდეს სისტემის მონაწილე და აღნიშნული მოთხოვნით დააფიქსირა შესაბამისი განაცხადი სისტემის ოპერატორთან;

კონფიდენციალური ინფორმაცია - ნებისმიერი ინფორმაცია, მიუხედავად მისი ფორმისა (მათ შორის მატერიალური და ელექტრონული ფორმით), რომელიც წარმოადგენს მხარის და/ან მხარესთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი ნებისმიერი პირის ნებისმიერ ინფორმაციას (მათ შორის, ტექნიკური და ფინანსური მონაცემები, კომერციული პირობები, ანალიტიკური მასალები, დოკუმენტები, ხელშეკრულებები, შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტაცია და ა.შ.), რაც არ არის საჯაროდ ცნობილი და რომლის გამჟღავნებამაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს მხარეს;

პერსონალური მონაცემები - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ, ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, პირადი ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

ეროვნული ვალუტა - საქართველოს ეროვნული ვალუტა;

BIN - Bank Identification Number - საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ ემიტენტი ბანკისთვის მინიჭებული სპეციალური კოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება საბანკო პლასტიკური ბარათის ემიტენტი ბანკის იდენტიფიკაცია;

BINR - Bank Identification Number Range - BIN-ის საფუძველზე ემიტენტი ბანკის მიერ ემიტირებული საბანკო პლასტიკური ბარათების ჯგუფისთვის მინიჭებული კოდების ერთობლიობა, რომლითაც შესაძლებელია ემიტენტი ბანკის მიერ ემიტირებული საბანკო პლასტიკური ბარათების კონკრეტული ჯგუფის იდენტიფიკაცია;

PAN - Primary Account Number - საერთაშორისო საგადახდო სისტემაში ჩართული საბანკო პლასტიკური ბარათის უნიკალური კოდი, რომელიც მათ შორის მოიცავს BIN-

ს, BINR-ს და რომლის მეშვეობითაც ხდება კონკრეტული საბანკო პლასტიკური ბარათის იდენტიფიკაცია.

დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს ის წესები და პირობები, რომელიც უნდა იქნეს დაცული გადახდის სისტემის მონაწილეების მხრიდან, რომელთა მიერ ემიტირებული საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებით განხორციელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის დადგენილი მგზავრობის საფასურის გადახდის ოპერაციები გადახდის სისტემის საშუალებით, რომლის მიმართ შესაბამისი მომსახურების მიწოდებას ახორციელებს სისტემის ოპერატორი.

გადახდის სისტემაში ჩართვის შემთხვევაში სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული პლასტიკური ბარათით და/ან ელექტრონული საფულით გადახდის ოპერაციისას მომხმარებელი ისარგებლებს/იმგზავრებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში დადგენილი სტანდარტული მგზავრობის საფასურის შესაბამისად. (გარდა საერთაშორისო ბანკების მიერ ემიტირებული ბარათებით გადახდისას, მგზავრობის ტარიფს დაემატება დამატებით 0.5 ლარი)

თუ კონკრეტული მუნიციპალიტეტის მიერ გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის მგზავრობის საფასური ნულოვანი ტარიფი ერთმანეთის მიყოლებით მგზავრობისათვის პირველი მგზავრობიდან დროის განსაზღვრულ მონაკვეთში განმეორებითი მგზავრობისთვის, სისტემის მონაწილის მიერ გამოშვებული გადახდის საშუალებებით საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის ოპერაციისას გადახდის საშუალების მფლობელს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს აღნიშნული ნულოვანი ტარიფით. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნულზე არ გავრცელდება სოციალური ბარათებით ან/და კანონმდებლობით დადგენილი რაიმე სახის ფასდაკლების ან/და სხვადასხვა კატეგორიის მგზავრებისთვის საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის შეღავათიანი ტარიფები, მიუხედავად აღნიშნული შეღავათიანი ტარიფების დამდგენი პირისა/სახელმწიფო ორგანოსი.

გადახდის სისტემით სარგებლობა და მგზავრობის საფასურის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მონაწილის მიერ გამოშვებული გადახდის საშუალებებით და სხვა არაქართული ბანკების მიერ ემიტირებული საერთაშორისო ბარათებით. არაქართული ბანკების მიერ გამოშვებული გადახდის საშუალებებით

განხორციელებული ტრანზაქციები დამუშავება მოხდება საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად, რა დროსაც გადამხდელს მგზავრობის საფასურთან ერთად ანგარიშიდან ჩამოეჭრება საკომისიო - 0.5 ლარის

გადახდის სისტემის აღწერა

გადახდის სისტემა წარმოადგენს სისტემის ოპერატორის მიერ შექმნილ ტექნიკური უზრუნველყოფისა და წესების ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საბარათე ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის შესრულება ეროვნულ ვალუტაში. სისტემის ოპერატორს წარმოადგენს სს „თიბისი ბანკი“, რომელიც ამავდროულად ჩართულია გადახდის სისტემაში და შესაძლებელია გადახდის სისტემის მართვას ახორციელებდეს ქვეკონტრაქტორების დახმარებით.

გადახდის სისტემის ანგარიშსწორების აგენტს წარმოადგენს სს „თიბისი ბანკი“, შესაბამისად გადახდის სისტემის მონაწილე ვალდებულია ანგარიშსწორების აგენტთან იქონიოს ანგარიში შესაბამის ვალუტაში.

გადახდის სისტემის საშუალებით გადახდის ოპერაციების შესრულება შესაძლებელია იმ მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრობის საფასურის გადახდისთვის, რომლის მომსახურებას უზრუნველყოფს სისტემის ოპერატორი.

სისტემის ოპერატორი გადახდის სისტემის საშუალებით უზრუნველყოფს შემდეგი მუნიციპალიტეტის მართვაში მყოფ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას გადახდის ოპერაციების განხორციელებას მითითებულ პერიოდში:

- ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2026 წლის სექტემბერი
- ქ. თელავის მუნიციპალიტეტში 2027 წლის ნოემბერი
- ქ. გორის მუნიციპალიტეტში 2026 წლის იანვარი
- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში 2027 წლის დეკემბერი
- ქ. ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2027 წლის სექტემბერი
- დაბა ბაკურიანში 2027 წლის სექტემბერი
- ქ. მცხეთა 2029 წლის იანვარი
- ქ. ახალციხე 2029 წლის აპრილი
- ქ. საგარეჯო 2029 წლის დეკემბერი
- ქ. ყვარელი 2029 წლის აპრილი

- ქ. ლაგოდეხი 2029 წლის ნოემბერი
- ქ. სიღნაღი 2029 წლის მაისი
- ქ. დმანისი 2029 წლის თებერვალი
- ქ. დედოფლისწყარო 2029 წლის მაისი
- ქ. ბაღდათი 2029 წლის იანვარი

გადახდის სისტემაში ჩართვა, ჩართვის კრიტერიუმები და განაცხადის წარდგენა

სისტემის მონაწილე შეიძლება იყოს:

- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი;

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემაში ჩართვის მსურველი პრეტენდენტი ეცნობა სისტემის ტექნიკურ მოთხოვნებს და ფუნქციონალს, რომელიც განსაზღვრულია ამ დოკუმენტით.

იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული პირისთვის მისაღებია სისტემის წესებით დადგენილი ყველა პირობა და იგი აკმაყოფილებს სისტემის მონაწილისთვის დადგენილ ყველა კრიტერიუმს, დაინტერესებული პირი მიმართავს სისტემის ოპერატორს სისტემაში ჩართვის შესახებ მოთხოვნით შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: transport@tbcbank.ge; tms@tbcbank.ge .

დაინტერესებულმა პირმა სისტემაში ჩართვის განაცხადი (*იხ. ქვემოთ დანართი N 1)* სრულად შევსებული უნდა გააგზავნოს ზემოთ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე საკუთარი ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართიდან.

განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის, ვადაში სისტემის ოპერატორი დაინტერესებულ პირს უგზავნის ტექნიკურ პროტოკოლს იმავე ელექტრონული ფოსტის მიმსარათზე საიდანაც გამოგზავნილია განაცხადი. ტექნიკური პროტოკოლი ასევე ერთვის წინამდებარე დოკუმენტს დანართი N 2 ის სახით.

დაინტერესბული პირი ვალდებულია დეტალურად გაეცნოს ტექნიკურ პროტოკოლს. იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ მისთვის შესაძლებელია უზრუნველყოს საკუთარი სისტემის მოწყობა, განახლება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში),

იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს დაინტერესებული პირის სისტემის დაკავშირება სისტემასთან, დაინტერესებული პირი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე მიმართავს სისტემის ოპერატორს იმავე ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის ინფრასტრუქტურა ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნის წარდგენის მომენტისთვის არ აკმაყოფილებს სისტემის მონაწილისთვის წარდგენილ მოთხოვნებს/დადგენილ კრიტერიუმებს, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია უარი უთხრას დაინტერესებულ პირს ხელშეკრულების გაფორმებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის ინფრასრტრუქტურა აკმაყოფილებს სისტემის მონაწილისთვის წარდგენილ მოთხოვნებს და აღნიშნულს ადასტურებს დაინტერესებული პირი, სისტემის ოპერატორი აღნიშნული დადასტურებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ უფრო მეტი ვადა არ არის მოთხოვნილი დაინტერესებული პირის მიერ) აორგანიზებს პრეტენდენტისა და სისტემის ოპერატორის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელშეკრულების გაფორმებას.

სხვა საგადახდო საშუალებით გადახდის ოპერაციების შესრულებასთან დაკავშირებით სისტემის ოპერატორთან მიმართვის პროცედურა

იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილეს სურს გადახდის სხვა საშუალებით განახორციელოს გადახდის ოპერაციები, სისტემის მონაწილემ უნდა მიმართოს სისტემის ოპერატორს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: transport@tbcbank.ge; tms@tbcbank.ge

იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილეს სურს გადახდის სხვა საშუალებით მიიღოს გადახდის ოპერაციის მომსახურება, სისტემის ოპერატორი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში სისტემის მონაწილეს მიაწვდის ტექნიკურ მოთხოვნებს, თუ რა სამუშაოები უნდა გასწიოს სისტემის მონაწილემ საკუთარი სისტემაში, რათა სისტემის მონაწილემ შეძლოს სისტემის ოპერატორის მიერ გადახდის სხვა საშუალებით განხორციელებისას დაგენერირებული და სისტემის მონაწილისთვის მიწოდებული ე.წ. ტოკენით ინფორმაციის მიღება.

სისტემის მონაწილის მხრიდან სისტემის ოპერატორის მიერ განსაზღვრული საკუთარი სისტემის ტექნიკური განახლების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც სავალდებულო იქნება გადახდის სხვა საშუალებით გადახდის ოპერაციის განხორციელებისათვის, გადახდის ოპერაცია დამუშავდება სტანდარტულად სისტემის მიერ.

იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილე ვერ უზრუნველყოფს სისტემის ოპერატორის მიერ განსაზღვრულ სისტემის მონაწილის სისტემის ტექნიკური განახლების განხორციელებას, რომელიც სავალდებულო იქნება გადახდის სხვა საშუალებით გადახდის ოპერაციების განსახორციელებლად, გადახდის სხვა საშუალებით გადახდის ოპერაცია დამუშავდება საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად, რა დროსაც გადამხდელს დაეკისრება დამატებითი საკომისიო - 0.5 ლარი

იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილე ვერ უზრუნველყოფს სისტემის ოპერატორის მიერ განსაზღვრულ სისტემის მონაწილის სისტემის ტექნიკური განახლების განხორციელებას, და თუ სისტემის მონაწილეს სურს, რომ გადახდის სხვა საშუალებით გადახდის ოპერაციის შესრულებისას გადამხდელს არ დაეკისროს დამატებითი საკომისიო, მაგრამ სურს რომ გადახდის ოპერაციების განხორციელება შესაძლებელი იყოს გადახდის სხვა საშუალებით, სისტემის მონაწილე უფლებამოსილია აანაზღაუროს გადახდის სხვა საშუალებით გადახდის ოპერაციის განხორციელებისას გადამხდელისთვის დაკისრებული საკომისიო, რაზედაც მიმართავს სისტემის ოპერატორს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: transport@tbcbank.com.ge; tms@tbcbank.ge სისტემის მონაწილეს მოთხოვნის საფუძველზე სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის გაფორმდება შესაბამისი დამატებითი შეთანხმება.

იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილეს სურს შეზღუდოს გადახდის სხვა საშუალებით გადახდის ოპერაციის შესრულება სისტემის მონაწილე უფლებამოსილია მიმართოს სისტემის ოპერატორს დადგენილი წესით და მოითხოვოს გადახდის სხვა საშუალებებით გადახდის ოპერაციების შესრულების დაბლოკვა.

იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილე უზრუნველყოფს სისტემის ოპერატორის მიერ განსაზღვრულ სისტემის მონაწილის სისტემის ტექნიკური განახლების განხორციელებას სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის ფორმდება ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება გადახდის სხვა საშუალებით გადახდის ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

გადახდის ოპერაციის შესრულება იმ საბარათე ინსტრუმენტის მეშვეობით, რომლის ემიტენტიც არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან/და საგადახდო პროვაიდერი და არ არის ჩართული სისტემაში

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ ემიტირებული საგადახდო ინსტრუმენტებით გადახდის ოპერაციის დამუშავება განხორციელდება საერთაშორისო საგადახდო სისტემის ან/და სხვა საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად (თუ სისტემის ოპერატორი არის ასეთი სხვა საგადახდო სისტემის მონაწილე და გააჩნია გადახდის ოპერაციის დამუშავების მხარდაჭერის ობიექტური შესაძლებლობა) თუ:

საბარათე ინსტრუმენტის ემიტირებულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ;

გადახდის ოპერაციის ინიცირება ხდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ ემიტირებული საგადახდო ინსტრუმენტით.

გადახდის ოპერაციის საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად დამუშავების შემთხვევაში მოქმედებს ურთიერთგაცვლის საკომისიო, რომლის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესებით.

გადახდის ოპერაციის საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესების შესაბამისად დამუშავებისას გადამხდელი იხდის დამატებით საკომისიოს 0.50 (ნული მთელი ორმოცდაათი მეასედი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ან/და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია მიმართოს სისტემის ოპერატორს და მოითხოვოს მათ მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტებით გადახდის ოპერაციის განხორციელების დაბლოკვა სისტემის მეშვეობით.

სტოპ სია

სისტემის მონაწილე ვალდებულია პროგრამის მონაცემთა ბაზაში, მუდმივად მართოს სტოპ სია. სტოპ სიის მართვა გულისხმობს სტოპ სიაში საბარათე ინსტრუმენტის PAN-

ების შესახებ ინფორმაციის პროგრამის მონაცემთა ბაზაში დამახსოვრებას/შენახვას/განახლებას. სტოპ სიაში საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ ინფორმაციის ჩაწერის შედეგად აღარ შესრულდება გადახდის სისტემის საშუალებით გადახდის ოპერაცია იმ საბარათე ინსტრუმენტით, რომელიც სტოპ სიაშია მანამ, სანამ საბარათე ინსტრუმენტის PAN-ის შესახებ ინფორმაცია არ იქნება სტოპ სიიდან ამოღებული. სისტემის მონაწილე ვალდებულია პროგრამის მონაცემთა ბაზაში საბარათე ინსტრუმენტის PAN-ების შესახებ ინფორმაცია შეინახოს არაუმეტეს გადახდის სისტემის წესებით განსაზღვრული რაოდენობით. სისტემის მონაწილე უფლებამოსილია ყოველდღიურად სტოპ სიას დაამატოს ან/და ამოიღოს საბარათე ინსტრუმენტის PAN-ების შესახებ ინფორმაცია არაუმეტეს გადახდის სისტემის წესებით განსაზღვრული ოდენობით. სისტემის მონაწილე უფლებამოსილია მონაცემთა ბაზაში შეინახოს სტოპ სიაში არსებული პლასტიკური ბარათის PAN-ის შესახებ ჩანაწერების შეუზღუდავი რაოდენობა. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილის მიერ სტოპ სიაში არსებული პლასტიკური ბარათის PAN-ის შესახებ ჩანაწერების რაოდენობა აღემატება 2 000 000-ს (ორი მილიონს), მაშინ სისტემის მონაწილე ვალდებულია აუნაზღაუროს სისტემის ოპერატორს ხარჯი შესაბამისი პლასტიკური ბარათების 2 000 000-ს (ორი მილიონს), მეტი ოდენობის თითოეულ ჩანაწერზე 0,01 (ნული მთელი ერთი მეასედი) ლარის ოდენობით დღეში, რომლის გადახდაც უნდა განხორციელდეს გადახდის სისტემაში ჩართვის საფასურის გადახდისთვის დადგენილი პირობების შესაბამისად.

სისტემის მონაწილე უფლებამოსილია სტოპ სიაში პლასტიკური ბარათის PAN-ის შესახებ ჩანაწერის დამატება ან ამოღება განახორციელოს შეუზღუდავი რაოდენობით. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილის მიერ 1 (ერთი) დღის განმავლობაში სტოპ სიაში დამატებული ან/და ამოღებული პლასტიკური ბარათის PAN-ის შესახებ ჩანაწერების რაოდენობა აღემატება 200 000-ს (ორასი ათასი), მაშინ სისტემის მონაწილე ვალდებულია, აუნაზღაუროს სისტემის ოპერატორს ხარჯი შესაბამისი პლასტიკური ბარათების 200 000 ერთეულზე (ორასი ათასი) მეტი ოდენობის თითოეულ ჩანაწერზე 0,01 (ნული მთელი ერთი მეასედი) ლარის ოდენობით, რომლის გადახდაც უნდა განხორციელდეს გადახდის სისტემაში ჩართვის საფასურის გადახდისთვის დადგენილი პირობების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილე სარგებლობს გადახდის სისტემით სხვადასხვა მუნიციპალიტეტთან მიმართებაში, სტოპ სიისთვის დადგენილი ლიმიტები გამოიანგარიშება ჯამურად ყველა მუნიციპალიტეტთან მიმართებაში განხორციელებულ ჩანაწერებზე დაყრდნობით.

მინიმალური ნაშთი

სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია სისტემის მონაწილეს მოსთხოვოს გადახდის სისტემით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში და გადახდის სისტემაში ჩართვის შეწყვეტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ყოველდღიურად ანგარიშზე იქონიოს მინიმალური ნაშთი, რომლის ოდენობა დამოკიდებულია კალენდარული თვის განმავლობაში (სრული და არასრული) განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესაბამისი მგზავრობის საფასურის მოცულობაზე და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

მგზავრობის საფასურის მოცულობა(ლარი) კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული/მოსალოდნელი	**სავალდებულო მინიმალური ნაშთის მოცულობა (ლარი)**
<15000	1500
>=15000<60000	6000
>=60000<150000	15000
>=150000<150000	15000
>165000	16500

იმ შემთხვევაში თუ სისტემის მონაწილე სარგებლობს გადახდის სისტემით სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, მინიმალური ნაშთის მოცულობა გამოიანგარიშება ჯამურად, ყველა მუნიციპალიტეტში განხორციელებული გადახდის ოპერაციების თანხებიდან. სისტემის ოპერატორი ასევე უფლებამოსილია სისტემის მონაწილე მოსთხოვოს მინიმალური ნაშთიდან ბანკის მიერ შესაბამისი თანხის ჩამოჭრის შემთხვევაში, 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში შეავსოს მინიმალური ნაშთის თანხა შესაბამის ოდენობამდე;

სისტემაში ჩართვის საფასურის ოდენობა და გადახდის სისტემით მომსახურების საფასურის გადახდის პირობები

გადახდის სისტემაში ჩართვის საფასური შედგება:

- პირველადი ჩართვის საფასურისგან, რომელიც მოიცავს ქვეკონტრაქორის მიერ დადგენილ სისტემის მონაწილის ინფრასტრუქტურის სისტემასთან ინტეგრაციის ტარიფს
- კონკრეტულ მუნიციპალიტეტთან მიმართებაში ყოველთვიური ფიქსირებული და ასევე გადახდის სისტემით სარგებლობის ყოველთვიური მომსახურების საფასურისგან, რომელიც განისაზღვრება შესრულებული ტრანზაქციების ოდენობის მიხედვით და ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად

სისტემით სარგებლობის ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო ქალაქების მიხედვით:

ქალაქი	**ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადი (ლარი)**
ქუთაისი	1,000
გორი	1,000
ბორჯომი	500
ფოთი	800
თელავი	800
მცხეთა	500
ბაკურიანი	500
ახალციხე	800
ბაღდათი	500
დმანისი	500
სიღნაღი	500
ყვარელი	500
ლაგოდეხი	500
დედოფლისწყარო	500
საგარეჯო	500

სისტემით სარგებლობის ტრანზაქციული საკომისიო:

თვის ჭრილში ტრანზაქციების რაოდენობა	ერთი ტრანზაქციის ღირებულება

0-2000	1.00
2000- 10,000	0.90
10,001- 20,000	0.85
20,001- 50,000	0.80
50,001- 100,000	0.75
>100,000	0.70

მომსახურების საგამონაკლისო საფასური:

- იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი სურვილს გამოთქვამს გახდეს გადახდის სისტემის მონაწილე ერთდროულად **ქუთაისში**, **ფოთში**, **ბორჯომში**, **ბაკურიანში**, **თელავში** და **გორში**, სადაც სისტემის ოპერატორი მართავს გადახდის სისტემებს, სისტემის მონაწილეს შეუძლია ისარგებლოს სისტემის ოპერატორის მიერ დადგენილი კომერციული შეთავაზებით და ჯამურად გადაიხადოს სისტემით მომსახურების ყოველთვიური საფასური 125,000 ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და ასეთ დროს სისტემის მონაწილეს არ მოუწევს დამატებით სისტემით სარგებლობის ტრანზქციული და ფიქსირებული საკომისიოს გადახდა.
- სისტემის მონაწილეს ასევე შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს შემდეგი საგამონაკლისო მომსახურების საფასურით შემდეგი პირობებით:

1 **0-50 000** - მდე ტრანზაქციის განხორციელება თვის განმავლობაში:
   - აღნიშნული საფასურის არჩევიდან პირველი წლის განმავლობაში მომსახურების საფასური შეადგენს თვეში 15 000 ლარს.
   - აღნიშნული საფასურის არჩევიდან მეორე და შემდგომი წლების განმავლობაში მომსახურების საფასური შეადგენს თვეში 20 000 ლარს.

2 **50 001-150 000** - მდე ტრანზაქციის განხორციელება თვის განმავლობაში - მომსახურების ღირებულება შეადგენს თვეში 30 000 ლარს.

3 **150 001 და მეტი** ტრანზაქციის განხორციელება თვის განმავლობაში - მომსახურების ღირებულება შეადგენს თვეში 205 000 ლარს.

4 იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქციების რაოდენობა გადააჭარბებს კლიენტის მიერ შერჩეული პაკეტით გათვალისწინებულ ოდენობას, სისტემის მონაწილე ავტომატურად გადავა შემდეგ სატარიფო სქემაში და მასზე გავრცელდება შესაბამისი ტრანზაქციების ოდენობისთვის გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

შენიშვნა: სისტემის მონაწილე უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე აირჩიოს მომსახურების საგამონაკლისო საფასურით

შეთავაზებული პირობებიდან ერთ-ერთი სისტემის ოპერატორისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, არჩეული საგამონაკლისო საფასური ამოქმედდება სისტემის ოპერატორის მიერ შეტყობინების მიღების შემდგომ მომდევნო თვის პირველი კალენდარული დღიდან.

სისტემაში ჩართვის/ინტეგრაციის პირველადი საფასური

სისტემის მონაწილის სისტემაში პირველადი ჩართვის საფასური, მიუხედავად მის მიერ არჩეული/განაცხადში მითითებული მუნიციპალიტეტისა, შეადგენს ერთჯერადად 2 280 აშშ დოლარს დღგ-ის გარეშე.

ყოველი შემდეგი დამატებითი მუნიციპალიტეტის სისტემაში ჩართვის საფასური შეადგენს 960 აშშ დოლარს დღგ-ის გარეშე.

სხვა საგადახდო საშუალებით მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემაში ჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში, თუკი პრეტენდენტს არ აქვს ტოკენების დამუშავების შესაძლებლობა, სისტემაში ჩართვის საფასური შეადგენს დამატებით 1 440 აშშ დოლარს დღგ-ის გარეშე.

ნებისმიერი ცვლილების საფასური უკვე არსებულ ინტეგრაციაში შეადგენს 960 აშშ დოლარს დღგ-ის გარეშე.

შენიშვნა: აღნიშნული ქვეთავით გათვალისწინებული საფასური დადგენილია ტექნიკური სამუშაოების განმახორციელებელი ბანკის ქვეკონტრატორის/ების მიერ და საფასურის გადახდა განხორციელდება ლარში, ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღეს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

გადახდის პირობები

ანგარიშსწორება სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს შორის

სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს სისტემის მონაწილის თანხმობის გარეშე ყოველი კალენდარული თვის განმავლობაში საბარათე ინსტრუმენტებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების მიხედვით დაანგარიშებული ტრანზაქციული და ასევე ქალაქების მიხედვით ფიქსირებული საკომისიოს ჩამოჭრას, სისტემის მონაწილის ანგარიშიდან

ანაგრიშსწორება სისტემის ოპერატორს, სისტემის მონაწილესა და მუნიციპალიტეტებს შორის

სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ყოველი ერთი კალენდარული დღის განმავლობაში საბარათე ინსტრუმენტებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესაბამისი რაოდენობის მგზავრობის საფასურის მეორე სამუშაო დღეს უაქცეფტოდ, სისტემის მონაწილის თანხმობის გარეშე, ჩამოჭრას სისტემის მონაწილის ანგარიშიდან და ჩამოჭრილი მგზავრობის საფასურის თანხის შესაბამის მუნიციპალიტეტისათვის ჩარიცხვას.

სისტემის მონაწილე ვალდებულია ბანკში იქონიოს სულ მცირე ერთი ანგარიში, სადაც განათავსებს სისტემის მონაწილესა და სისტემის ოპერატორს შორის წინასწარ შეთანხმებულ თანხას, რომელიც არ იქნება ნაკლები სისტემის მონაწილის კლიენტების მიერ ერთი კალენდარული დღის განმავლობაში შესრულებული/მოსალოდნელი ტრანზაქციების (მგზავრობის საფასური) ოდენობაზე;

ანგარიშზე შესაბამისი ოდენობის თანხის არ არსებობის, ან ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, თანხები ჩამოიჭრება მინიმალური ნაშთიდან. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე არ აღმოჩნდება შესაბამისი პერიოდის განმავლობაში ანგარიშსწორებისთვის საჭირო შესაბამისი ლ შესაბამისი თანხის ჩამოჭრა, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სისტემის მონაწილეს სისტემის წესებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა. ამასთან, სისტემის მონაწილის მიერ აღნიშული პუნქტით გათვალისწინებული თანხის სისტემის ოპერატორისთვის გადაუხდელობის შემთხვევაში და დამატებითი შეტყობინებიდან 30 დღის გასვლის შემდგომ სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია ცალმხრივად შეუჩეროს/შეუწყვიტოს სისტემის მონაწილეს მომსახურება/ხელშეკრულება. ანგარიშსწორების მიზნებისთვის, წინა დღეს განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესახებ ინფორმაცია სისტემის მონაწილეს მიეწოდება მომდევნო სამუშაო დღეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

მხარეთა პასუხისმგებლობა

იმ შემთხვევაში, თუ მინიმალური ნაშთისთვის განსაზღვრულ ანგარიშზე არ აღმოჩნდება შესაბამისი კალენდარული დღის განმავლობაში საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის და/ან გადახდის სისტემით სარგებლობის საფასურის ოდენობის და/ან მინიმალური ნაშთის ოდენობის ჯამური თანხა, ან აღნიშნული ანგარიშიდან შეუძლებელია შესაბამისი თანხების ჩამოჭრა, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სისტემის მონაწილეს ერთჯერადი პირგასამტეხლოს გადახდა, მინიმალური ნაშთიდან ჩამოსაჭრელი შესაბამისი თანხის 1 (ერთი) %–ის ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლოს გადახდა, შესაბამისი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული), შესაბამისი გადაუხდელი/მინიმალური ნაშთიდან ჩამოსაჭრელი თანხის ჯამური მოცულობის 0.5 (ნული მთელი ხუთი მეათედი) %-ის ოდენობით.

სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სისტემის მონაწილეს მის მიერ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის გამო მიყენებული ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად, ნებისმიერი მესამე პირის მიერ დაკისრებული გადასახდელი. ამასთან, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სისტემის მონაწილეს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისათვის, ერთჯერადი პირგასამტეხლოს გადახდა, მინიმალური ნაშთის მოცულობის 1 (ერთი) %–ის ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლოს გადახდა, შესაბამისი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული), მინიმალური ნაშთის მოცულობის 0.5 (ნული მთელი ხუთი მეათედი) %-ის ოდენობით. სისტემის ოპერატორი გათავისუფლებულია ყოველგვარი პირგასამტეხლოს გადახდის/ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ გადახდის სისტემის შეფერხება და/ან ხარვეზი გამოწვეულია სისტემის ოპერატორისგან ან/და მისი ქვეკონტრაქტორისაგან (ასეთის არსებობისას) დამოუკიდებელი მიზეზით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების და/ან დარღვევის აღმოფხვრისაგან და/ან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

განცხადებები და გარანტიები

სისტემის მონაწილე:

- წარმოადგენს გადამხდელუნარიან პირს, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის აღნიშნული წესების პირობების დაცვას/ჯეროვან შესრულებას;

- მისი საქმიანობა აკმაყოფილებს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომის მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის მოთხოვნებს და ხსენებული მოთხოვნები დაცული იქნება სახელშეკრულებო ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე.

- იცავს ადამიანს უფლებებსა და თავისუფლებებს როგორც აბსოლუტურ ღირებულებას და თავის ბიზნეს საქმიანობას წარმართავს აღნიშნული ღირებულებების დაცვით. საქმიანობის პროცესში არ არღვევს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს, ხელს არ უწყობს მონურ შრომას და მკაცრად გმობს პირთა შორის დისკრიმინაციას.

- თავის საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავს კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. გააჩნია ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითხებს უწევს მუდმივ კონტროლს;

- იმ შემთხვევაში, თუ გადახდის სისტემით მომსახურების ფარგლებში სისტემის მონაწილისათვის ცნობილი გახდება პერსონალური მონაცემი, სისტემის მონაწილე დაუყოვნებლივ წაშლის აღნიშნულ მონაცემს და შეწყვეტს მათ დამუშავებას;

- უზრუნველყოფს საერთაშორისო საგადახდო სისტემის წესდების/პირობების და საქმეთწარმოების წესებში გათვალისწინებული მოთხოვნების სათანადო შესრულება/დაცვა, აგრეთვე საერთაშორისო საგადახდო სისტემის პროცედურების დაცვა და შეასრულოს დადგენილი ვალდებულებები;

- სისტემის მონაწილე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ თავად, მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე მისი ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი ან/და მათთან აფილირებული პირები (რაც ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე მათ შორის წარმოადგენს ნებისმიერ პირს რომელსაც სისტემის ოპერატორის შეფასებით, მათ შორის

სანქციის მიზნიდან გამომდინარე, საქმიანი, ნათესაური თუ სხვა ტიპის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს პირზე ან მის გადაწყვეტილებებზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს მას) ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს:

- არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და გაერთიანებული სამეფოს ან/და ამერიკის შეერთებული შტატების ან/და საქართველოს ან/და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), ან/და მათ მიმართ არ მოქმედებს/იმოქმედებს სანქცია (ამ პუნქტის მიზნებისთის სანქცია მათ შორის მოიცავს უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრულ შეზღუდვას, პოლიტიკას, აკრძალვას, ან სხვა სახის მითითებას).
- არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები.
- პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობენ გარიგების დადებას) ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში/მასზე გავრცელებული იქნება სანქცია ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი ან/და საქმიანობს ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები.
- პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდია/დადებს ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობს გარიგების დადებას) ისეთ მხარესთან/ქონებასთან/ აქტივთან/ პროდუქციასთან/მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება სრული ან/და მიზნობრივი ან/და სექტორული სანქციები/შეზღუდვები

გადახდის სისტემაში მონაწილეობის შეწყვეტა

გადახდის სისტემის მონაწილე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს გადახდის სისტემაში მონაწილეობა და ასევე შეწყვიტოს სისტემის ოპერატორთან გადახდის სისტემით მომსახურების ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი

ხელშეკრულების/შეთანხმების მოქმედება სისტემის ოპერატორისათვის არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე.

სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია ცალმხრივად შეუწყვიტოს/შეუზღუდოს სისტემის მონაწილეს გადახდის სისტემასთან წვდომა თუ:

• სისტემის მონაწილე დაარღვევს აღნიშნული წესებს/გარანტიებს და/ან ხელშეკრულების ნებისმიერ პირობას და სისტემის ოპერატორის მიერ შესაბამისი შეტყობინების/გამაფრთხილებელი წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში არ აღმოიფხვრება ზემოხსენებული დარღვევა;

• სისტემის ოპერატორი ნებისმიერი მიზეზით დაკარგავს ოპერირების უფლებას და/ან საკუთარი ინიციატივით / მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით შეწყვეტს შესაბამის მუნიციპალიტეტში გადახდის სისტემის ოპერირების უფლებას, რის შესახებაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთობა/ხელშეკრულება წყდება მომენტალურად) არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით აცნობებს სისტემის მონაწილეს;

• დაუყოვნებლივ, თუ ნებისმიერი მიზეზით/ფორმით შეწყდება/ბათილად იქნება ცნობილი მუნიციპალიტეტსა და სისტემის ოპერატორს შორის გაფორმებული გადახდის სისტემით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება;

• დაუყოვნებლივ, თუ სისტემის მონაწილის მიმართ დაიწყება ლიკვიდაციის პროცესი;

• დაუყოვნებლივ, თუ სისტემის მონაწილის მიერ დარღვეულ იქნება აღნიშნული წესებით გათვალისწინებული გარანტიები;

კომუნიკაცია მხარეთა შორის

მხარეთა შორის ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

სისტემის გეგმიური სრული, ან მისი კომპონენტების განახლების შესახებ ინფორმაციას სისტემის ოპერატორი შეტყობინების სახით მიაწვდის სისტემის მონაწილეს განახლებამდე არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე.

გადახდის სისტემასთან დაკავშირებული კომუნიკაცია განხორციელდება სისტემის ოპერატორის ელექტრონული ფოსტის მისამარზე transport@tbcbank.ge. tms@tbcbank.ge

შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად, შეტყობინების გაგზავნიდან მეორე დღეს. შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას და/ან გაუქმებული იქნება მეორე მხარისათვის მიწოდებული ელექტრონული ფოსტის მისამართი.

შეტყობინება ასევე მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმითა და საშულებით გაგზავნისა და ჩაბარების შემთხვევაშიც.

კონფიდენციალურობა

თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეები ვალდებული არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ამასთან, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი დაამუშაონ, მხოლოდ გადახდის სისტემის წესებით გათვალისწინებული მიზნებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ გადახდის სისტემის ფუნქციონირებაში ჩართული არიან ქვეკონტრაქტორები, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია ქვეკონტრაქტორებს გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რაც აუცილებელი იქნება სისტემის მონაწილისათვის გადახდის სისტემაში ჩართვისა და შემდგომი ურთიერთთანამშრომლობისათვის;

პრეტენზიები და დავები

პრეტენზიები მხარეებმა შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია, პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან ამავე ვადაში წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე მხარეს დასაბუთებული პასუხი აღნიშნულის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები შედგენილია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობით. დავის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს, რომელიც დავას განიხილავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

სისტემის მონაწილის მიერ სისტემაში ინტეგრაციისთვის განსახორციელებელი სამუშაოები:

სისტემის ოპერატორსა და პრეტენდენტს (შემდგომში - სისტემის მონაწილე) შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს სისტემის მონაწილესა და სისტემის ოპერატორს შორის ინფორმაციის გაცვლისათვის დაცული, VPN არხის აწყობას ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

VPN არხის აწყობის შედეგად სისტემის მონაწილეს აქვს დაშიფრული კავშირი პროგრამასთან, სისტემის მონაწილე ვალდებულია დაიცვას პროგრამის უსაფრთხოება, არ დაუშვას მესამე პირები პროგრამასთან.

სისტემის ოპერატორი აწვდის სისტემის მონაწილეს სისტემის სატესტო სერტიფიკატებს, AgenID, ListID და Salt-ს.

სისტემის მონაწილე ვალდებულია უზრუნველყოს მის სიტემაში სატესტო სერტიფიკატების, AgenID, ListID და Salt-ის გენერირება.

სისტემის მონაწილე ვალდებულია მიაწოდოს სისტემის ოპერატორს მის მიერ ემიტირებული სატესტო უკონტაქტო საბარათე ინსტრუმენტის (პლასტიკური ბარათების) PAN-ები და საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაცია, აღნიშნული ინფორმაციის სისტემაში ასახვა განხორციელდება ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

სისტემის მონაწილის მიერ სისტემის ოპერატორისთვის მის მიერ ემიტირებული სატესტო საბარათე ინსტრუმენტების PAN-ების მიწოდების შემდგომ ხორციელდება სისტემის საშუალებით სატესტო გადახდის ოპერაციების გენერირება.

სატესტო გადახდის ოპერაციების გენერირების დროს ხორციელდება სატესტო საბარათე ინსტრუმენტების ჩამატება და ამოღება სტოპ სიაში, ასევე სატესტო გადახდის ოპერაციების განხორციელება.

იმ შემთხვევაში, თუ სატესტო გადახდის ოპერაციების დროს გამოვლინდა ხარვეზი, სისტემის ოპერატორი და სისტემის მონაწილე უზრუნველყოფენ ხარვეზის გამოსწორებას და სისტემის საშუალებით განმეორებით სატესტო გადახდის ოპერაციების გენერირებას, მანამ სანამ სატესტო გადახდის ოპერაციები წარმატებით არ განხორციელდება.

მას შემდეგ რაც სატესტო გადახდის ოპერაციები წარმატებით განხორციელდება, სისტემის მონაწილეს დაუყოვნებლივ ეხსნება წვდომა სისტემის რეალურ გარემოზე, რის შემდეგაც სისტემის მონაწილე ვალდებულია სისტემის ოპერატორს მიაწოდოს მის მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაცია.

სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს სისტემის მონაწილის მიერ მოწოდებული საბარათე ინსტრუმენტების BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაციიდან რამდენიმე საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაციის დამატებას სისტემაში. სისტემის მონაწილე და სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფენ სისტემაში დამატებული საბარათე ინსტრუმენტებით გადახდის ოპერაციის განხორციელებას. იმ შემთხვევაში თუ გადახდის ოპერაცია წარმატებით დასრულდა, სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს სისტემის მონაწილის მიერ მოწოდებულ საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაციის სრულად დამატებას სისტემაში და სისტემის მონაწილე იწყებს სისტემით სარგებლობას.

სისტემის სარგებლობის დაწყებისთანავე სისტემის მონაწილე ვალდებულია განათავსოს ანგარიშსწორების ანგარიშზე სავალდებულო თანხა.

სისტემით სარგებლობის განმავლობაში, სისტემის მონაწილის მიერ სისტემაში დამატებით სხვა საბარათე ინსტრუმენტების მონაცემების დამატების სურვილის შემთხვევაში, სისტემის მონაწილე ვალდებულია მიაწოდოს სისტემის ოპერატორს მის მიერ ემიტირებული უკონტაქტო საბარათე ინსტრუმენტის (პლასტიკური ბარათების) PAN-ები და საბარათე ინსტრუმენტის BIN-ისა და BINR-ის შესახებ ინფორმაცია,

აღნიშნული ინფორმაციის სისტემაში ასახვა განხორციელდება ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

სისტემაში ჩართვის განაცხადის ფორმა დანართი N1

	გადახდის სისტემაში ჩართვის განაცხადი	
1	დაინტერესებული პირის სრული დასახელება	
2	დაინტერესებული პირის სამართლებრივი ფორმა და საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ფორმა	
3	დაინტერესებული პირის საკორესპონდენციო მისამართი	
4	დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო კოდი	
5	დაინტერესებული პირის უფლებამოსილი წარმომადგენელის სახელი/გვარი და პირადი ნომერი	
6	დაინტერესებული პირის საკონტაქტო პირის მობილური ტელეფონი: ელ-ფოსტა:	
7	მუნიციპალიტეტის დასახელება, რომლის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდებთან (ტრანზაქციები) მიმართებაში უნდა განხორციელდეს სისტემაში ჩართვა	